



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

6

**საქართველოს ტერიტორიული თავდაცვა:
ბამონწვევები და პერსპექტივები**

ნოდარ ხარშილაძე

დასავლეთის ევროპის



2013



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ნოდარ ხარბილაძე

**საქართველოს ტერიტორიული თავდაცვა:
გამონვევები და პერსპექტივები**

6

2013



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

მთარგმნელი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2013 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-5685-7

საქართველოს ტერიტორიული თავდაცვა: გამონვევები და პერსპექტივები

2013 წლის მაისში გამოქვეყნდა საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, რომელიც შეიმუშავა თავდაცვის სამინისტრომ და უშიშროების საბჭოსთან თანამშრომლობის შედეგად დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტმა. დღეს, როცა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან თითქმის 5 წელია გასული, საინტერესოა პარალელური ანალიზი და ხედვა იმისა, თუ რა სახის ჯარი სჭირდება საქართველოს, რა მიზნები უნდა შეასრულოს მისმა შეიარაღებულმა ძალებმა და რა რეალისტური მოლოდინი უნდა არსებობდეს ხელახალი სამხედრო აგრესიის შემთხვევაში.

სამწუხაროდ, აგვისტოს ომის შემდეგ არც შიდაუნწყებრივ და არც ექსპერტულ დონეზე დღემდე არ ჩატარებულა ომის დროს მიღებული გაკვეთილების მოცულობითი, დეტალური სამხედრო ანალიზი. 2008 წლის აგვისტოს ომის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნა უფრო ზოგად უწყებათაშორის ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას, მიუთითებს რა მხოლოდ მართვისა და კონტროლის, ასევე სარეზერვო სისტემის ხარვეზებზე. ამრიგად, რადგანაც სამხედრო ასპექტების დეტალური ანალიზი არ ყოფილა ამ კომისიის მიზანი, სამხედრო კომპონენტიც მხოლოდ ზოგადად არის განხილული.

თავდაცვის სამინისტროში 2009 წელს შეიმუშავდა აგვისტოს ომის დროს მიღებული გამოცდილების პირველადი ანალიზი, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ ანალიზის გაღრმავება და დეტალიზაცია ვერ მოხერხდა, პირველადი ხედვა კი არ იძლევა დაწვრილებით შესწავლისათვის საკმარის მასალას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანი არ არის ომის სამხედრო მიზეზებისა და შედეგების ანალიზი. ამის გაკეთებას შეიძლება შეიარაღებული ძალების გამოცდილი ოფიცრებით დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფი. მართალია, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა საჯარო გამოსვლებისას არაერთხელ აღნიშნეს ამგვარი ჯგუფის შექმნის აუცილებლობა, მაგრამ ასეთი ჯგუფი ჯერაც არ შექმნილა. მიგვაჩნია, რომ სანამ არ გაკეთდება ფართო ანალიზი, რთული იქნება გამოცდილებაზე დაფუძნებული რეალისტური სამომავლო გეგმის შემუშავება.

საქართველოს სტრატეგიული გარემოს და კანონმდებლობის გათვალისწინებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დაცვა. ასევე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში (საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის ჩათვლით) და ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს სამოქალაქო ხელისუფლების დახმარება. ეს უკანასკნელი უფრო არატრადიციული მისიაა და მართებული იქნებოდა, ამ ამოცანის შესრულების ძირითადი კომპონენტი – რეზერვი – თავდაცვის ნაწილში განგვეხილა.

ზემოხსენებული ამოცანები კარგი იქნებოდა განხილულიყო როგორც ზოგადად, ისე საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან მიმართებით, თუ როგორ შეძლებს ქართული ჯარი ამ ფუნქციების შესრულებას.

საქართველოს შემთხვევაში თავდაცვის ორ ასპექტის განხილვაა შესაძლებელი: ერთი, პრევენცია, ანუ ომის არდაშვება და მეორე, შეკავება — სამხედრო აგრესიის შემთხვევაში მოწინააღმდეგის შეკავება. ქვემოთ წარმოვადგენთ ორივეს.

პრევენცია

პრევენცია საკმაოდ რთული ფენომენია და მრავალნაირად შეიძლება აიხსნას, მაგალითად: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამხედრო ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც აჩერებს კონფლიქტის ერთ ან რამდენიმე პოტენციურ მხარეს, რომ არ გამოიყენოს ღია ძალა. წინამდებარე წერილის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას პრევენციის სამხედრო კომპონენტს მივაქცევთ.

იმ იშვიათი ისტორიული შემთხვევების მიხედვით, როდესაც პრევენციამ გარკვეული როლი შეასრულა, შეიძლება რამდენიმე საერთო ელემენტის გამოყოფა, რაც სამხედრო პრევენციის ძირითად აუცილებელ წესად შეიძლება მოვიჩინოთ – ეს არის სამი ძირითადი კომპონენტი: რაციონალურობა, გარდაუვალი ზიანი და ძალთა ბალანსი. სამივე კომპონენტს ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

რაციონალურობა, ალბათ, არა მარტო სამხედრო, არამედ მთლიანად პრევენციის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. პრევენციას შანსი იმ შემთხვევაში ეძლევა, როცა შესაძლო კონფლიქტის მხარეები გადანყვეტილებებს რაციონალური ანალიზის შედეგად იღებენ, ანუ ესა თუ ის სახელმწიფო მანქანა ან ერთპიროვნული ლიდერი (უფრო ავტოკრატიულ შემთხვევებში) გადანყვეტილებას კონფლიქტის დაწყება-არდაწყების თაობაზე ძირითადად რაციონალურ დასკვნებზე დაფუძნებით უნდა იღებდეს. რადგანაც ადამიანური ფაქტორის გამორიცხვა თითქმის შეუძლებელია, რაღაც დოზით იგი გადანყვეტილებაზე მოახდენს გავლენას. თუ რაციონალიზმზე მალლა ადამიანური ემოციები ან/და, კიდევ უარესი, რელიგიური ან ეროვნული ფანატიზმი დგას, მაშინ პრევენციის წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგალითად, თუ ქვეყნის ლიდერი, რომელიც გადანყვეტილებას იღებს, ღამე რომელიმე ღვთაებას „ესაუბრება“ და იგი კაცობრიობაზე მთლიანად და, კერძოდ კი, თავისი ერის მომავალზე პირდაპირ ზეციდან იღებს რჩევებს, ცოტა რთულია გათვალო, თუ რას გადანყვიტს ეს ადამიანი (ან ადამიანთა ჯგუფი) და როდის „ურჩევენ მალლიდან“ მას „ურწმუნოთა“ განადგურებას, მიუხედავად იმისა, რა რისკი და ზიანი მოჰყვება ასეთ მცდელობას, მით უმეტეს, თუ ამ ქვეყანას აქვს ატომური იარაღი.

შესაბამისად, რაციონალიზმი საჭიროა, რათა მხარეებმა სწორად გაიზიარონ აგრესიის შედეგები და რისკები, რის შემდეგაც, პრაგმატული გათვლების საფუძველზე, თავს შეიკავებენ კონფლიქტის დაწყებისაგან.

სამწუხაროდ, ამისათვის მხოლოდ პრაგმატიზმი არ კმარა. აქ უკვე დგება პრევენციის მეორე წინაპირობის საკითხი – გარდაუვალი ზიანი, ანუ როდესაც პირველი პირობა შესრულდება და ჩატარდება სიტუაციის რაციონალური და პრაგმატული ანალიზი, ამან კონფლიქტის პოტენციურ მხარეებს უნდა აჩვენოს, რომ აგრესიის შემთხვევაში მიღებული ზიანი გარდაუვალი იქნება (სამხედრო და, როგორც შედეგი, ასევე, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ან ყველაფერი ერთად) და ეს ზიანი ან აღემატება, ან, მინიმუმ, გაუთანაბრდება კონფლიქტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მიღებულ სარგებელს (ტერიტორიის ნაწილი, ბუნებრივი რესურსები, პოლიტიკური დომინირება თუ სხვა). ამასთან, ამ ზიანის მიღების რისკი უნდა იყოს მაღალი, შეიძლება ითქვას, გარანტირებული; იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული მოწინააღმდეგის

სამხედრო წარმატებაზე ან ფორტუნაზე. ბუნებრივია, ეს ბოლო ორი ფაქტორი ზრდის ან ამცირებს ამა თუ იმ მხარისთვის მიყენებულ ზიანს, მაგრამ დანაკარგების ძირითადი მოცულობა უნდა იყოს გამოკვეთილი.

მაგალითისათვის, ლათინურ-ამერიკული ქვეყანა ალფა ფიქრობს თავს დაესხას ქვეყანა ბეტას, სამხედრო ძალის მეშვეობით დაამარცხოს იგი და ხელთ იგდოს მათ (ალფასა და ბეტას) შორის არსებული სადავო პროვინცია. ამ შემთხვევაში, გარდა პოლიტიკური ფაქტორებისა (ვთქვათ, პოლიტიკური ზიანი არ იქნება კატასტროფული ან გამოუსწორებელი), რომლებმაც უნდა დააფიქროს ქვეყანა ალფა, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ მიზნის მისაღწევად იგი დაკარგავს დაახლოებით 50 ათას სამხედროს – საუკეთესო შემთხვევაში, ხოლო თუ ქვეყანა ბეტა უფრო ეფექტურად გამოიყენებს თავის ძალებს, ვიდრე ამას პირველადი ანალიზით მისგან აღფელები ელოდებიან და თანაც მის მხარეზე სამხედრო ფორტუნაც იქნება, მაშინ ალფას დანაკარგი 80-100 ათასამდე გაიზრდება, რის შედეგადაც მან შეიძლება საერთოდ ვერ მიაღწიოს სამხედრო მიზანს, ანუ პროვინციის ოკუპირებას, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა.

ასეთ შემთხვევაში ალფას ხელმძღვანელობამ უნდა გადანყვიტოს, უღირს თუ არა 50-დან 100 ათასი კაცის დანაკარგად (პლუს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია, მაგრამ არა – გადამწყვეტი) პროვინციის ოკუპაცია. თუ ალფა გადანყვეტს, რომ სამხედრო ზიანი და, დამატებით, პოლიტიკური ფაქტორების ერთობლიობა მისთვის აღემატება მიზნის მიღწევის შედეგად მიღებულ შენაძენს (ამ შემთხვევაში პროვინცია), მან შესაძლოა თავი შეიკავოს აგრესიისაგან. ასეთი შედეგი დემოკრატიულ ან დემოკრატიაზე ორიენტირებულ პოლიტიკურ სისტემებშია მოსალოდნელი, სადაც ძალაუფლება არჩევითი გზით მოიპოვება და საზოგადოება ჩართულია სახელმწიფოებრივ პროცესებში. ასეთ პირობებში დანაკარგების რისკი (და შემდგომი ძალაუფლების დაკარგვა – როგორც შედეგი) შესაძლოა გადანყვეტილების მიღების დროს გადამწყვეტი შემაკავებელ-პრევენციული ფაქტორი აღმოჩნდეს მმართველი გუნდისათვის.

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ეს არ კმარა და აქ პრევენციის მესამე ფაქტორი იქნის მნიშვნელობას. თუ არ არსებობს ძალთა ბალანსი, რომელიც აგრესორისათვის მიზნის მიღ-

წევას თითქმის შეუძლებელს ან ნამდვილად შეუძლებელს ხდის და თუკი მიზნის მიღწევის შანსი არსებობს, მიუხედავად დანაკარგებისა (ავტოკრატიულ რეჟიმებში, განსაკუთრებით – რუსეთის შემთხვევაში), კონფლიქტის მხარე ან მხარეები მაინც წავლენ რისკზე.

ძალთა ბალანსი ზუსტად ისეთ შემთხვევებშია მნიშვნელოვანი, როდესაც რაციონალურად გათვლილი რისკებისა და ზიანის მიუხედავად, ერთ-ერთი ან ორივე მხარე მზად არის მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ძალა. ძალთა ბალანსის არსებობა ასეთ ავანტიურას (ამ შემთხვევაში ეს უკვე მხოლოდ ავანტიურაა) უსარგებლოდ აქცევს. ძალთა ბალანსი პოტენციური კონფლიქტის მხარეთა შორის შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ანუ ქვეყნებს თვითონ ჰქონდეთ ერთმანეთის დასაბალანსებელი ძალა, და კოლექტიური – როდესაც ერთი მხარე არის ალიანსის წევრი, რომლის სამხედრო პოტენციალი დააბალანსებს უფრო ძლიერ მეორე მხარეს. შესაძლოა ორივე მხარე იყოს ალიანსის წევრი და ეს ორი ალიანსი თავისი სამხედრო პოტენციალით აბალანსებდეს ერთმანეთს. ეს უკვე დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოხდება ამის გაგება.

ისტორიულ მაგალითებს თუ მივმართავთ, სამხედრო პრევენციის კლასიკური წარმატებული ვარიანტია აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირება, ანუ ცივი ომი. ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ცივი ომი მსოფლიო ომში არ გადაიზარდა, პირველ რიგში შედეგია ორმხრივი სამხედრო პრევენციისა. სამხედრო პრევენციის პოპულარული თეორიაა ამერიკული „გარანტირებული ურთიერთგანადგურება“ (mutually assured destruction), რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ერთი მხარე (საბჭოთა კავშირი) გამოიყენებდა მთელ თავის ატომურ იარაღს მოწინააღმდეგეზე გამანადგურებელი მასობრივი დარტყმის განსახორციელებლად, მეორე მხარეს (აშშ-ს) მაინც დარჩებოდა შესაძლებლობა საპასუხო დარტყმისათვის, რომელიც რაოდენობრივად შესაძლოა ნაკლები იყო, მაგრამ განადგურებისათვის საკმარისი პოტენციული ჰქონდა. ამისათვის გამოიყენებოდა ნყალქვეშა ნავები ატომური რაკეტებითა და განსაკუთრებით გამაგრებული ობიექტები, საიდანაც წინასწარ ჩადებული სცენარით ავტომატურ რეჟიმში მოხდებოდა პასუხის გაცემა. შესაბამისად, ძალთა ბალანსი და გარდაუვალი ზიანი აღმოჩნდა ძირითადი წინაღობა საბჭოთა კავშირისათვის, რადგან არანაირი სხვა მორალური თუ პოლიტიკური ბერკეტი არ არსებობდა, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის კომუნიზმის დამყარების

მიზნით კაპიტალიზმის ძალის გამოყენებით განადგურებისა და/ან დამორჩილებისათვის (საბჭოთა კავშირს სამხედრო დოქტრინაში პირდაპირ ჰქონდა გაცხადებული მთავარ პრიორიტეტად კაპიტალიზმთან ძალისმიერი ბრძოლა).

პოსტკონფლიქტური პრევენციის მაგალითი დღეს არის პაკისტანსა და ინდოეთს შორის არსებული ვითარება. აღსანიშნავია, რომ, 1947 წლის ქაშმირის ომის ჩათვლით, ამ ქვეყნებს შორის სხვადასხვა მასშტაბის ოთხი შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა. ბოლო, 1999 წლის შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ კონფლიქტი გაყინულ ფაზაშია, სამხედრო ძალთა ბალანსი და ატომური იარაღის ორმხრივი გამოყენების შესაძლებლობა რეალისტურად აქცევს ორმხრივი სამხედრო პრევენციის ამუშავებას, რაც ხდება კიდევც ბოლო 14 წლის მანძილზე.

საქართველოსათვის უფრო შესაბამისი ისტორიული მაგალითია მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანია-შვეიცარიის შემთხვევა. თუმცა ეს ისტორიული თეორია არ არის ფაქტებით დადასტურებული და გარკვეული დოზით სკეპტიციზმიც ახლავს. ვგულისხმობთ შვეიცარიის მხრიდან გერმანიის მიმართ წარმატებით განხორციელებულ პრევენციას, სადაც, შვეიცარიელთა ვერსიით, სამხედრო კომპონენტმა, კერძოდ კი, ტერიტორიული თავდაცვის მათმა სისტემამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ეს საკითხი საკამათოა, რადგან გერმანიას მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის აშკარად ჰქონდა ყველაზე მოდერნიზებული, ეფექტური და რაც იმ დროისათვის ახალი იყო, თითქმის სრულიად მექანიზებული ძალები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურად მოქმედებდნენ სტატიკური ტერიტორიული თავდაცვის დროს, რისი ნათელი მაგალითიცაა 1939-1940 წლების კამპანია, როდესაც გერმანია რამდენიმე დღეში ამარცხებდა ისეთ ქვეყნებს, როგორებიც იყო ჰოლანდია, ნორვეგია და დანია. გერმანია განსაკუთრებით ეფექტური იყო ზუსტად ასეთი გამაგრებული და სტატიკური თავდაცვის ზღუდეების წინააღმდეგ.

ნაკლებსავარაუდოა, რომ გერმანია რაიმე სერიოზული ზიანის მიღებას მოელოდა შვეიცარიული თავდაცვის სისტემებისგან, ასევე აშკარაა ძალთა ბალანსის არარსებობა შვეიცარიასა და გერმანიას შორის. ეს, ალბათ, იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ჰიტლერი, სავარაუდოდ, საკითხს რაციონალურად მიუდგა და თავდასხმისაგან თავი შეიკავა, თუმცა ეს რაციონალიზმი პოლიტიკურ და ფინანსურ

ელემენტებს ეფუძნებოდა და არა სამხედროს. გერმანიას ხელს აძლევდა ნეიტრალური შვეიცარია, როგორც საიდუმლო პოლიტიკური მოლაპარაკებების ფორუმი და ფინანსური აქტივების შესანახი და სამოძრაო სივრცე (შვეიცარიის ბანკებში ინახებოდა მილიონობით რაიხსმარკები და ზუსტად აქ ჰქონდა გერმანიას მცდელობები მოლაპარაკებოდა მოკავშირეებს სეპარატულ დაზავებაზე). შესაბამისად, ეს ისტორიული მაგალითი საინტერესოა, როგორც თეორია, მაგრამ აქ სამხედრო პრევენციის არსებობა, სულ ცოტა, სკეპტიციზმს იწვევს.

პრევენციაზე ლაპარაკისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ისტორია სავსეა კონფლიქტებით, სადაც პრევენციას თითქოსდა უნდა ემუშავა, მაგრამ ვერ იმუშავა. ეს ხდებოდა საკუთარი ძალების სასარგებლოდ ზედმეტად ოპტიმისტური გათვლების საფუძველზე, როდესაც რაციონალიზმი კარნახობდა მხარეებს, რომ ვერც მიზანს მიაღწევდნენ და ზიანიც დიდი ექნებოდათ, მაგრამ რწმენა საკუთარი გამარჯვებისა იმდენად დიდი იყო, რომ ეს ფაქტორები მეორეხარისხოვნად მიიჩნეოდა. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც, საკმაოდ პრაგმატულ და რაციონალურ გერმანულ და ფრანგულ საზოგადოებებში შექმნილი ომის ეიფორია პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში – რწმენა საკუთარი სწრაფი გამარჯვებებისა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფაქტორი და დასკვნა (ძალთა აშკარა ბალანსი და შესაბამისად ხანგრძლივი ომი თავისი მძიმე შედეგებითა და დიდი ზიანით) ამის საპირისპიროს აჩვენებდა.

პრევენცია ქალაქებზე და პრევენცია რეალობაში მკაფიოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, შეიძლება წინასწარ გაითვალისწინო ბევრი სცენარი, როდესაც პრევენცია არ იმუშავებს, მაგრამ რთულია განჭვრიტო ისეთი გარემოება, როდესაც პრევენცია აუცილებლად იმოქმედებს.

რაც შეეხება კონკრეტულად რუსეთ-საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტს და აქ სამხედრო პრევენციის შესაძლებლობას, უნდა ითქვას, რომ ის თითქმის ნულის ტოლია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც აშკარაა, რომ სამხედრო პრევენცია არ არსებობს. პირველ რიგში, საქართველოსა და რუსეთს შორის არ არის არანაირი ძალთა ბალანსი. თუ რუსეთი დახარჯავს საკმარის რესურსს და ამას პოლიტიკური ფაქტორები არ შეუშლის ხელს, იგი გარანტირებულად მიაღწევს მიზანს — საქართველოს სრულ ოკუპაციას. მეორე, არანაირ სერიოზულ ზიანსა და დანაკარგებს რუსეთი ამ

ომისაგან არ მოელის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი, ფაქტია, არის ქვეყნა, რომელიც ტრადიციულად ნაკლებად ანიჭებს მნიშვნელობას საკუთარ დანაკარგებს, თუკი მას გარანტირებული აქვს მიზნის მიღწევა. მეტიც, რუსეთს აქვს კარგი გამოცდილება, როდესაც 2008 წლის აგვისტოში მინიმალური ზარალით, თავისი მასშტაბებისათვის თითქმის უდანაკარგოდ შეძლო მოკლე ვადებში საქართველოს სამხედრო ძალის ნეიტრალიზაცია. როგორც რუსეთის ოფიციალური პირები აცხადებენ, შემდგომში ისინი კიდევ უფრო ადვილად შეძლებენ ამის მიღწევას. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს, ქვემოთ განვიხილავთ, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთს საქართველოს სამხედრო პოტენციალი არ მიაჩნია რაიმე მნიშვნელოვან ფაქტორად.

ამრიგად, რუსეთი გადანყვეტილების მიღების დროს, დაინწყოს თუ არა ომი საქართველოსთან, ძალიან მცირე ან თითქმის არანაირ მნიშვნელობას არ მიაანიჭებს საქართველოს თავდაცვის ძალების ფაქტორს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის პირობებში სამხედრო პრევენცია ფატრობრივად არ იმუშავებს.

შეკავება

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს შემთხვევაში თავდაცვა ორად იყოფა: პრევენცია და შეკავება. სამხედრო პრევენციის არარსებობის მიუხედავად, საქართველოს სასარგებლოდ მოქმედებს პოლიტიკური პრევენცია, რომელსაც პოზიტიურ ფაქტორად დაემატა საქართველოს ახალი ხელისუფლების ინიციატივა რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობის დაწყების შესახებ. რამდენად ეფექტიანი იქნება ახალი ფორმატი, ეს ცალკე განხილვის თემაა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ რუსულ მედიაში და ოფიციალურ პირთა განცხადებებში ომის რიტორიკამ იკლო, რაც შეიძლება პოზიტიურ ფაქტორად ჩაითვალოს. თუმცა თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის სამხედრო ვარაუდების თანახმად, ქვეყნის წინაშე მდგარ საფრთხეთა შორის რუსეთთან ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის საფრთხე კვლავაც დღის წესრიგში დგას.

შესაბამისად, თავდაცვის დაგეგმვა უნდა მოხდეს ყველაზე არასასურველი სცენარით. იმ შემთხვევაში, თუ მიუხედავად არსებული ფაქტორებისა, რუსეთის ფედერაციამ მაინც გადანყვიტა

სამხედრო აგრესიის განახლება, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ რა ამოცანა შეიძლება ჰქონდეს რუსეთს და რა სავარაუდო მიზნებს დაისახავს იგი სამხედრო ძალის გამოყენების შემთხვევაში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთმა მოინდომოს საქართველოს სრული ოკუპაცია მისი სრული დამორჩილებისა და სახელმწიფოებრიობის განადგურების მიზნით. ამას ბევრად მეტი დრო დასჭირდება და პოლიტიკურადაც ძალიან რთულად მისაღწევი იქნება. უფრო რეალისტურად გამოიყურება სცენარი, რომლის მიხედვითაც, რუსეთი სამხედრო აგრესიის მეშვეობით ეცდება უზრუნველყოს მისთვის ლოიალური ძალებისაგან დროებითი მთავრობის შექმნა, რომელიც ქართველი ერის სახელით კონტროლს აიღებს ქვეყანაზე. ამით ის საერთაშორისო თანამეგობრობას მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენებს და, სულ ცოტა, კარგ პლაცდარმს შეიქმნის პოლიტიკური ვაჭრობისათვის. ამ მიზნის მისაღწევად კი რუსეთი სწრაფ შეტევას განახორციელებს საქართველოს წინააღმდეგ და ქვეყნისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენებას ეცდება.

ამრიგად, საქართველოს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ძალა, რომ მოკლე ვადებში შეაკავოს რუსეთის წინსვლა, არ დაუშვას ქვეყნის სრული ოკუპაცია და შეინარჩუნოს ქვეყნის სუვერენიტეტი მანამ, სანამ ამუშავდება საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა და ძირითადი პოლიტიკური ბერკეტების გამოყენების მეშვეობით აიძულებს რუსეთს შეაჩეროს სამხედრო აგრესია.

რამდენი ხანი დასჭირდება საერთაშორისო პოლიტიკურ ინსტიტუტებს და ჩვენს პარტნიორებს იმისათვის, რომ ამოქმედდნენ და რამდენ ხანში შეძლებენ ისინი გავლენა იქონიონ რუსეთზე და შეაჩერონ მისი აგრესია — ეს ცალკე დეტალური ანალიზის და შესწავლის საგანია, თუმცა წარსული გამოცდილებითა და სხვადასხვა მაგალითებით ეს დაახლოებით ერთკვირიანი დროის მონაკვეთია, საუკეთესო შემთხვევაში. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორიც, რომ რუსეთი შეეცდება განელოს ასეთი სახის მოლაპარაკებები სხვადასხვა დიპლომატიური ხერხების გამოყენებით, რათა დრო მისცეს თავის შეიარაღებულ ძალებს დაასრულონ სამხედრო ოპერაცია და საერთაშორისო თანამეგობრობა უკვე ფაქტის წინაშე დააყენოს.

ზუსტად ამ პირობებში და ამ მიზნებისთვისაა საჭირო ქართული ძალისათვის ე.წ. შეკავების ელემენტის დაგეგმვა, რა თქმა უნდა, ქვეყნის რესურსების გათვალისწინებით. 2013 წლის მაისში

გამოქვეყნებული საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის მიხედვით, მომავალი წლების ბიუჯეტი, 2013-2016 წლების მანძილზე, 660 მილიონიდან 880 მილიონ ლარამდე გაიზრდება ეტაპობრივად (2007-2009 წლებში ბიუჯეტი 900 მლნ. -1,5 მილიარდამდე მერყეობდა), 3 წლის განმავლობაში, რაც დაახლოებით 8-9-პროცენტით სავალდებულო ზრდაა წელიწადში.

ფინანსური კრიზისის გამო თავდაცვის უწყებაზე გათვალისწინებული ხარჯები ნატოს წევრ ქვეყნებშიც კი მცირდება, ხოლო ძირითადი ხარჯები სოციალურ სფეროებზეა მიმართული, სასურველია შეზღუდული რესურსების პირობებში არჩევანი გაკეთდეს არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე, მოცემული შესაძლებლობების გათვალისწინებით.

თავდაცვის განახლებული სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016 წწ.-ის საბიუჯეტო გათვლების ნაწილში მკაფიო აქცენტს ძირითადად რაოდენობაზე აკეთებს. დოკუმენტის მიხედვით, მთლიანი ბიუჯეტის 70%-მდე (68,8-69,1%-მდე) მოხმარდება ჯარის პირადი შემადგენლობის შენახვას, შესყიდვებს – 2,1-7%-მდე, მშენებლობას – 1-4%-მდე, სამეცნიერო კვლევასა და განვითარებას – 6-6,3%, ხოლო ოპერაციებსა და მხდაჭერას – 21,3-23,9%. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ შეიარაღების მოდერნიზაციასა და კაპიტალურ ინვესტიციებზე ვერ ხერხდება ფინანსური რესურსების სასურველი ოდენობით მობილიზება.

არსებული შეიარაღების შენარჩუნების შემთხვევაში, მათი შენახვის დანახარჯები იზრდება, ეფექტიანობა კი იკლებს. სანამ ჩვენ 70-იანი წლების ტიპის სამხედრო ტექნიკას ვინარჩუნებთ, მსოფლიოში სამხედრო ტექნოლოგიები წინ მიდის. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლიდან შეეძლო დაგვეწყობა სამამულო სამხედრო წარმოება (უპილოტო საფრენი აპარატები და სხვა), ყოველწლიური მზარდი ინვესტიციების გარეშე ეს ინიციატივაც მხოლოდ მიკროეფექტის მომტანი იქნება.

ამ პირობებში შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მხრიდან განმეორებითი სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, 2014-2015 წლებში ძალთა ბალანსი დაახლოებით 2008 წლის მსგავსი იქნება, რამდენადაც რადიკალურად მნიშვნელოვანი ცვლილებები არც ერთი მხარის თავდაცვის უწყებაში არ მოხდარა. მართალია, საქართველოს შეიარაღებული ძალების სათავეში უფრო განათლებული და კვალიფიციური ოფიცრები დგანან, აშენდა გარკვეული თავდაცვი-

თი ზღუდეები თბილისის ირგვლივ და არმია პოლიტიკურად ნეიტრალურია, რაც გამოორიციხავს სამოქალაქო პირების შესაძლო უხემ ჩარევას საომარი მოქმედებებისას, მაგრამ იმისთვის, რომ მეტი უპირატესობა ჰქონდეს ქვეყანას, საჭიროა რიგი ძირეული რეფორმების ჩატარება შეიარაღებულ ძალებში, რასაც, სხვა ყველაფერთან ერთად, დროც სჭირდება.

თავის მხრივ, რუსეთმაც გაატარა რიგი რეფორმებისა ჯარის მოდერნიზაციისა და რესტრუქტურისაციის მხრივ (უფრო ქალაქში, მაგრამ იყო ლიმიტირებული წარმატება). რუსეთმა შექმნა უფრო კარგად ორგანიზებული პლაცდარმები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რაც უკეთ უზრუნველყოფს ლოჯისტიკას და მართვას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხარემ გადადგა გარკვეული ნაბიჯები, მაგრამ ორივეს დაახლოებით იგივე ჯარი ჰყავს, რაც ჰყავდა 2008 წელს, იმავე სამხედრო ბალანსით. ზემოაღნიშნული მოსაზრებების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი გადაწყვეტს ხელახალი სამხედრო აგრესიის განხორციელებას საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გაუჭირდება რუსული აგრესიის საჭირო დროით შეკავება, რამდენადაც კარდინალური რეფორმა 2008 წლის შემდგომ ქართულ ჯარში არ განხორციელებულა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების წინაშე მდგარი ძირითადი ნაკლოვანებების ჩამოთვლისას, გარდა შეზღუდული ფინანსური რესურსებისა, არის განათლებული ოფიცრებისა და სერჟანტების ნაკლებობა. მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს არ ჰყავს საკმარისი სამეთაურო რგოლი 37 000-კაციანი ჯარის სამართავად და ეს სულაც არ არის საიდუმლო. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით გადაიდგა (განახლებული თავდაცვის აკადემია, სხვადასხვა ახალი სამეთაურო კურსები და სხვა სამხედრო სასწავლებლები), ამ პრობლემის დაძლევა დროც სჭირდება.

ქართული ჯარის განათლების სისტემა უკვე გამართულიც რომ იყოს, რესურსებით უზრუნველყოფილი და ხვალიდანვე რომ შეეძლოს საჭირო რაოდენობის პერსონალის განწერა (სამწუხაროდ, ეს ასე არ არის და ამას კიდევ წლები დასჭირდება), მაინც პირველ შედეგებს მხოლოდ 4-5 წელიწადში მივიღებთ, მანამდე კი მეთაურთა და სერჟანტთა დაახლოებით ნახევარი ან იქნება დაუკომპლექტიბელი, ან დაბალი სტანდარტებით იქნება დაკომპლექტიბული.

ამ გათვლების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე არც ფინანსური რესურსი გვაქვს და არც განათლებული ოფიცრების სასურველი რაოდენობა გვყავს, რომ 37-ათასიანი არმიის განვითარება მოხერხდეს. შესაბამისად, ჯარის ოპტიმიზაციაზე საუბარია დასაწყები, ხოლო თუ რა კონკრეტული რაოდენობა უნდა ჰყავდეს ქვეყანას ამ ამოცანებისთვის, ვფიქრობთ, ამის გათვლა სამხედრო სპეციალიტა პრეროგატივა უნდა გახდეს.

შესაბამისად, რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასურველია აქცენტი გადავიდეს შეიარაღებული ძალების განვითარების პერსპექტივებზე. ოპტიმიზაციის შედეგად პირადი შემადგენლობის შენახვის ხარჯებიდან გამოთავისუფლებული ფული ჩაიდოს განათლებაში და აუცილებელი სამხედრო შესაძლებლობების განვითარებაში. ამის შემდეგ, თუ საჭიროება მოითხოვს და ბიუჯეტი საშუალებას მოგვცემს, ახალი სერჟანტებისა და ოფიცრების ჯარში შესვლასთან ერთად ნელ-ნელა გაიზარდოს ჯარის რაოდენობა, მაგრამ იმ გათვლებით, რომ მინიმუმ თავდაცვის ბიუჯეტის 25% მოხმარდება შეიარაღების განვითარებას (ნატოს სტანდარტული ბიუჯეტი).

დაბოლოს, ორიოდე სიტყვით შევეხებით სამხედრო რეზერვის საკითხს. საქართველოში 2006 წლიდან მოყოლებული რამდენიმეჯერ იყო სხვადასხვა სახის სარეზერვო სისტემის შექმნის მცდელობა. სამწუხაროდ, ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიტანა სასურველი შედეგი, იმავე მიზეზების გამო, რის გამოც რეზერვის ნებისმიერი სხვა კონცეფცია ვერ მოიტანს შედეგს. მიზეზი მარტივია: წელიწადში 100 000-იანი სარეზერვო კონტინგენტისთვის სამეთაურო რგოლის — ოფიცრების და სერჟანტების — ნაკლებობა. 2009 წელს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის გვარდიის ხედვის დოკუმენტში მოცემული იყო აგვისტოს ომამდე არსებული სამხედრო რეზერვის შეცდომების ანალიზი, სადაც ეწერა, რომ ბრიგადების და ბატალიონების მართვის დეფიციტი იყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ვერ იმუშავა რეზერვმა აგვისტოს ომში. დოკუმენტის თანახმად, 500 რეზერვისტის სამართავად პირადი შემადგენლობიდან გამოყოფილი იყო 5 სამხედრო მოსამსახურე. სამწუხაროდ, მიუხედავად ასეთი ანალიზისა, ომის შემდგომაც იმავე რაოდენობის 100 000 რეზერვის მომზადება დაიწყო თავდაცვის უწყებამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა ეროვნულ გვარდაში არ მოგვარებულა და ვერც მოგვარდებოდა, თუნდაც დროის

სიმცირის გამო.

შესაბამისად, ახალი ტიპის სარეზერვო სისტემის შექმნისას სასურველია აქცენტი გაკეთდეს უფრო მცირე მოცულობის საარმიო რეზერვზე, რომელიც ყოფილი სამხედროებისაგან იქნება დაკომპლექტებული და მისი ეფექტიანობა ჩვეულებრივ რეზერვზე მაღალი იქნება.

ნუ დაგვავიწყდება რომ, რეზერვის მომზადება ფული ღირს, რომ რაც უფრო მეტი მოთხოვნაა რეზერვის სისტემის მიმართ, მით უფრო მეტი ჯდება იგი.

საჭირო ფინანსების არსებობის შემთხვევაში ქვეყანამ შეიძლება იყოლოს მცირე ზომის რეზერვი, რომელიც ომის ან კრიზისული სიტუაციებისას (ბუნებრივი და ტექნოლოგიური კატასტროფების დროს) კრიტიკულად საჭირო კონკრეტული სპეციალიტების ჯგუფს გაუწევდა ორგანიზებას (სახეობების მიხედვით შემდგარი რეზერვი) და ეს ქვეყანას გამოადგებოდა როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს. თუმცა, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციიდან გამომდინარე, ჩანანერი ტოტალური და უპირობო თავდაცვის შესახებ და საბიუჯეტო სახსრების სიმწირე თითქმის შეუძლებელს ხდის სარეზერვო სისტემის ისეთ მოწყობას, რომ სასურველი შედეგი მოიტანოს.

დასასრულ, არ შეიძლება არ შევეხოთ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის საკითხს. ამ ამოცანას ქართული შეიარაღებული ძალები და, განსაკუთრებით, მისი რიგითი ჯარისკაცები წარმატებით და ღირსეულად ართმევენ თავს. სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა ხელს უწყობს ქვეყნისათვის პოლიტიკური დივიდენდების მოტანას და ასევე ზრდის მათი ურთიერთქმედების ხარისხს წამყვანი ქვეყნის სამხედროებთან.

როდესაც ლაპარაკია მისიებში მიღებულ სამხედრო ცოდნასა და გამოცდილებაზე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ გამოვიყენებთ იქ მიღებულ ცოდნას ფართომასშტაბიანი აგრესიის შემთხვევაში. რამდენად ადეკვატური იქნება მისიაში მონაწილე ჩვენი სამხედროების გამოცდილება ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციისას სხვა თემაა, თუმცა ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს: თუ ჩვენი ჯარი იქნა კარგად აღჭურვილი, ლოჯისტიკურად სრულიად უზრუნველყოფილი, იმოქმედებს გამართული მართვის და კონტროლის პირობებში, მას აქვს ინდივიდუალური გმირობის მაგალითი და შესწევს უნარი, რომ იყოს ერთ-ერთი ყველაზე

წარმატებული ჯარი, როგორც ეს საერთაშორისო ოპერაციებმა დაგვანახა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აშკარად არ არსებობს რუსეთთან სამხედრო პრევენციის შესაძლებლობა. შესაბამისად, აქცენტი უნდა გაკეთდეს გარკვეულ ვადაზე (ერთი კვირა და მეტი) გაანგარიშებულ შეკავების შესაძლებლობებზე. ამ მიზნის მისაღწევად კი სასურველია ქვეყანამ მიიღოს შესაბამისი ზომები.

ქვეყნის წინაშე მდგარი სამხედრო საფრთხეებიდან გამომდინარე, აუცილებელია თავდაცვის უწყების შიგნით დაიწყოს შეცდომების ანალიზის (Lessons learned) პროცესი, რომელიც მოიცავს როგორც აგვისტოს ომის სამხედრო, ისე ძირითადი რეფორმების მსვლელობისას მიღებული გაკვეთილების ფართო ანალიზს.

სასურველია შესაბამისი დასკვნების საფუძველზე დაიწყოს კვალიფიციური სამხედროებისა და შესაბამისი ექსპერტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფის დისკუსიები ჯარის ოპტიმიზაციის (შემცირების) შესახებ, შესაძლებლობის ფარგლებში.

კარგი იქნებოდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამხედრო განათლების სისტემის შემდგომ განვითარებას, ოპტიმიზაციის შედეგად გამოთავისუფლებული სახსრები კი მოხმარდეს მომავალ ინვესტიციას.

ასევე დასახვეწი და განსაახლებელია სტრატეგიული დოკუმენტები, სადაც გაიწერება გრძელვადიანი გეგმა და ხედვა იმისა, თუ როგორ აპირებს ქვეყანა სამხედრო საფრთხეებზე ადეკვატურ და ეფექტიან რეაგირებას.

ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს შევქმნათ თანამედროვე, მობილური, მცირერიცხოვანი და ეფექტიანი არმია, რომლითაც იამაყებს ერი და რომელიც შეიძლება დასახული ამოცანების შესრულებას და ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების ნეიტრალიზებას.